

დისკუსიები კავკასიურ ინსტიტუტში №2

ეკლესია, სახელმწიფო და რელიგიური უმცირესობები საქართველოში:
გვეშუქება თუ არა რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფრთხე?

კავკასიის კონფესიური სიტუაციის პოლიტიკური განზომილება

ავთო ჯოხაძე

რელიგია - პოლიტიკასთან მისი უმჭიდროესი კავშირის გამოა თუ სხვა რამ მიზეზით - მოცემული საზოგადოების ბედის განმსაზღვრველ, ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლადაა მიჩნეული. სახელმწიფო რელიგიების არსებობის ფაქტიც (აღარაფერს ვამბობ თეოკრატიულ რეჟიმებზე) სწორედ რელიგიის დიდ პოლიტიკურ პოტენციალზე მეტყველებს. პოლიტიკასთან მისი გადაჯაჭვულობის ერთ-ერთი გამოვლენა ჩვენთვის კარგად ცნობილი რუსული საბჭოთა იდეოკრატია გახლდათ. ეს ცოტა უცნაურია, რადგან, როგორც ცნობილია, რუსული იდეოკრატია ყველა სიკეთესთან ერთად ათეისტურიც იყო; მიუხედავად ამისა, მოვლენებისათვის დამახასიათებელი ანტიინომიურობის გამო - როდესაც უკიდურესობამდე მიყვანილი ესა თუ ის ტენდენცია მის საპირისპიროში გადადის - საბჭოთა დემოკრატიული სისტემა მაინც კვაზირელიგიად შეფასდა; ყოველ შემთხვევაში, ისეთი კალიბრის მოაზროვნეები, როგორებიც არიან: ერიკ ფრომი ან ნიკოლაი ბერდიაევი, მას სწორედ ასეთ კვალიფიკაციას აძლევდნენ. მართლაც, საბჭოთა იდეოკრატის მთავარი პროდუქტი Homo sovieticus-ი, ნიშან-თვისებათა იმ ბუკეტით იყო შემკული, რომელიც მართლმადიდებლურ (ნაწილობრივ ისლამის) ტრადიციებზე აღზრდილ ადამიანებსაც ახასიათებთ: იქნება ეს მორჩილება, ნათელი მომავლის რწმენა, უზენაესი პერსონის შიში და სიყვარული, საკუთარი დანაშაულის პერმანენტული განცდა თუ მისთანანი. *სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საბჭოთა უტოპიაში გაწბილებულმა ადამიანებმა სინდისის თავისუფლების ელემენტების დაშვებისთანავე მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე ტრადიციული რელიგიური სისტემების სასწრაფო აღორძინება დაიწყეს.* მართალია, აქ სხვა არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობებიც ცდილობენ ფეხის მოკიდებას, მაგრამ ამინდს მაინც ტრადიციული სისტემები ქმნიან.

ამაში გასაკვირი თითქოს არაფერია: რელიგიური სისტემები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების კონტექსტიდან დროებით, 70 წლით, იყენენ ამოღებული, ისევ იბრუნებენ თავიანთ ადგილს და პოსტსაბჭოთა საზოგადოებაც იძენს კომპონენტს, რომლის ფაქტიური არარსებობითაც ის ასე განსხვავდებოდა სხვა საზოგადოებებისაგან. მაგრამ შემოფოტებას იწვევს ერთი გარემოება: მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ევოლუცია დასავლეთისკენაა მიმართული (ყოველ შემთხვევაში, ვესტერნიზაციის მცდელობა ნამდვილად არსებობს), მართლმადიდებლობის და ისლამის აღორძინება კი საზოგადოებას დასავლური ღირებულებებისაგან აუცხოვებს. ცხადია, ერთსა და იმავე დროს ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით საზოგადოება ვერ იმოძრაებს. ეს გაორება ამწვავებს ჩვენი გარდამავალი საზოგადოების შიგნით არსებულ ისედაც მკვეთრ წინააღმდეგობას და უადრესად სახიფათოა შიდა კონფლიქტების წარმოქმნის თვალსაზრისით.

მართლმადიდებლობას და ისლამს დასავლურ ქრისტიანობასთან დაპირისპირება ადრეც ახასიათებდა, ოღონდ უკნასკნელი საუკუნის განმავლობაში დასავლეთისგან გაუცხოვება ცალ კარში თამაშს დაემსგავსა: დასავლეთში მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში სულ უფრო შეიწყნარებოდა ის მიდგომა, რომლის თანახმადაც ყოველი აღმსარებლობა არის არა ერთადერთი ჭეშმარიტი, არამედ „თანასწორი სხვა თანასწორთა შორის“. ასეთი გაგება კი სრულიად უცხოა რუსულ ორბიტაში მოქცეული ისლამის და მართლმადიდებლობისათვის. საბჭოთა 70 წლის განმავლობაში ამ უადრესად პრინციპული მიდგომის შეწყნარება გასაგები მიზეზების გამო ხომ საერთოდ ვერ მოხდებოდა და ისტორიულ წარსულშიც, როგორც ავღნიშნეთ, მართლმადიდებლობა ყოველთვის უფრო

კონსერვატორული იყო (დასავლური ქრისტიანობისაგან განსხვავებით, რომელიც დოგმატის განვითარებას და, მაშასადამე, შეცვლილი ისტორიული პირობების შესაბამისად თავისი დოქტრინის ევოლუციას ნორმალურ მოვლენად მიიჩნევს). ამის გამოა სწორედ, რომ ეკუმენიზმი - როგორც რელიგიათა დაახლოება, მათი არსობრივი ერთიანობის აღიარება, რელიგიური ორგანიზაციების ერთ სისტემაში გაერთიანება, რომ აღარაფერი ვთქვათ დოქტრინალურ სხვაობებზე ამადლების შესახებ - პოსტსაბჭოური აღმოსავლეთისთვის მიუღებელია. აქ აშკარად შეიმჩნევა სხვა აღმსარებლობებთან თანამშრომლობის და მათი შეწყნარების სურვილის დეფიციტი, რასაც უაღრესად არასასურველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. თუ რატომ - ამას კავკასიის კონფესიური გეოგრაფია გვითვალსაჩინოებს:

კონფესიურად ჭრელ კავკასიის შედარებით მცირე ტერიტორიაზე თავს იყრის აუარებელი პოლიტიკური სუბიექტი. ზოგი მათგანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ზოგი ავტონომიური წარმონაქმნი, ზოგი აღიარებულია, ზოგი უღიარებელი, მაგრამ ერთი ნიშნით ყველა მათგანი ერთმანეთს ჰგავს და აქ გამონაკლისს მხოლოდ საქართველო შეადგენს, - ყველა მათგანი არსებითად მონოკონფესიურია: ჩენეთი მუსლიმანური, სომხეთი - გრიგორიანული, ოსეთი - ძირითადად მართლმადიდებლური (მუსლიმანთა რაოდენობა 20%-ია) და ა.შ. საქართველოში კი ეს ასე არაა. განსხვავებული კონფესიების წარმომადგენლები ყველგან გვხვდებიან, მაგრამ ისეთი პროპორციით, როგორც საქართველოში - სხვაგან არა. აქ ცხოვრობს ასეულ ათასობით გრიგორიანელი და მათი რიცხვი მთელი მოსახლეობის დაახლოებით რვა პროცენტია; ასეულ ათასობით ან იქნებ მილიონამდე მუსლიმანი; კიდევ უფრო მეტი მართლმადიდებელი... საქართველოში, რომელიც კავკასიის ყველა პოლიტიკურ სუბიექტს ესაზღვრება, თითქოს შემცირებულ მასშტაბში მეორდება მთლიანად კავკასიისთვის დამახასიათებელი კონიუნქტურა; მცირეში აისახება დიდი.

აქ უპრიანია გავიხსენოთ, რომ ცივილიზაციების შეხლის თეორიის ავტორი, სამუელ ჰანთინგტონი სწორედ ჩვენ გვაფრთხილებს: მომავლის კონფლიქტები ცივილიზაციების შეხვედრის მიჯნებზეა მოსალოდნელი! ცივილიზაციების რაობა კი ძირითადად რელიგიური ნიშნით განისაზღვრება. კავკასია ის რეგიონია, სადაც ცივილიზაციები ერთმანეთს ეჯახება და თანაც არა ერთ სეგმენტში, არამედ რამდენიმეგან. საქართველოს, კავკასიის ამ გეოპოლიტიკური კვინტესენციის, შემთხვევაში ეს მიჯნები მისი საზღვრების გასწვრივაც არის და ამ საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორიის შიგნითაც. იმედი ვიქონიოთ, ჰანთინგტონის გაფრთხილება არ ნიშნავს კონფლიქტების გარდუვალობას და მათი თავიდან აცილების ან მოწესრიგების შეუძლებლობას, მაგრამ ე.წ. რისკფაქტორი აქ მართლაც ძალიან მაღალია. ამასობაში II-მა სექტემბერმა ცივილიზაციების შეხლა „გახსნილად გამოაცხადა“, რითაც ვითარება ისე გართულა, რომ კონფესიებს შორის შემწყნარებლობა რეგიონში კატასტროფის თავიდან აცილების სრულიად აუცილებელ წინაპირობად იქცა.

სამწუხაროდ, კავკასიის ხალხთა რელიგიურ ხელმძღვანელებს სულ სხვა გამოცდილება გააჩნიათ. მართალია, ჩვენში უყვართ ხოლმე წატრაბახება ჩვენი ოდინდელი ტოლერანტობის შესახებ, მაგრამ ეს ჯერ ერთი, შორეულ წარსულს, ადრეულ შუა საუკუნეებს ეხება და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კონფესიათა თანაარსებობა უფრო პოლიტიკური და არა წმინდა რელიგიური თავისებურებებით იყო შემავრებული. ძალიანაც არ გვეპიტნავენოდა თბილისში სპარსული ადმინისტრაცია, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო და მეჩეთიც უნდა მოგვეთმინა. მას მერე კონფესიათა ურთიერთდაახლოების სასარგებლოდ უბრალოდ არაფერი შეცვლილა და გაუცხოება მათ შორის არ აღმოფხვრილა.

ეს ძალიან კარგია, რომ კონფლიქტებს კავკასიაში, რელიგიური ხასიათი ჯერჯერობით არ მიუღია, მაგრამ ცდება, ვინც თვითდამშვიდებას ეძლევა. განა ერთხელ და ორჯერ მომხდარა, რომ პოლიტიკურ, ეთნიკურ ან სხვა ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტებს მოგვიანებით რელიგიური ელფერი დასდებია? ისეც ყოფილა, რომ წარმომშობ მიზეზებს (არარელიგიურ მიზეზებს) შეუწყვეტია არსებობა, მაგრამ კონფლიქტი მაინც გაგრძელებულა და ამჯერად, სწორედ, რელიგიურ ნიადაგზე. საქართველოს ისტორია ამის თვალსაჩინო მაგალითს ნამდვილად იძლევა. ირანთან კონფლიქტი რელიგიური მიზეზით არ დაწყებულა, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნეში ირან-ოსმალეთის გაშმაგებას უკვე

საქართველოს რუსეთთან ლაციცი იწვევდა, რაც იმდენად გეოპოლიტიკური ან მით უფრო ეკონომიკური ფაქტორებით არ იყო განპირობებული, რამდენადაც ერთმორწმუნეობის ყბადაღებული მითოლოგიით; ირან-ოსმალეთთან პოლიტიკური კონფლიქტი რელიგიურში გადაიზარდა.

მართალი თუ გნებავთ, კავკასიაში ამჟამად მიმდინარე თუ დაკონსერვებული კონფლიქტები იმიტომ არ აღბეჭდილა ეთნიკურთან ერთად რელიგიური ნიშნით, რომ კონფლიქტების დაწყებამ, უბრალოდ წინ უსწრო სტატიის დასაწყისში ნახსენებ „რელიგიური სისტემების აღორძინებას“; ტრადიციული რელიგიური სისტემების რესტარვაციას თავისი გაქანებისთვის, უბრალოდ, ჯერ არ მიუღწევია, მაგრამ ეს უახლოესი მომავლისთვის გარდაუვალია. სიმპტომატურია, რომ ჩეჩნეთ-დაღესტანში გაჩაღებული უკანასკნელი კონფლიქტი, თავდაპირველად სწორედ რელიგიური ელფერის გახლდათ: არენაზე გამოვიდნენ ე.წ. ვაჰაბიტები, რომლებიც რუსულმა პროპაგანდამ მერე ბანდიტებად გადაანათლა.

რელიგიური კონფლიქტების თავიდან არიდების ამოცანა იმ გეოპოლიტიკურ ინტერესთა ფონზე, რომელიც კავკასიის მიმართ არსებობს, ტრადიციული რელიგიური სისტემების ლიბერალიზაციასაც მოითხოვს, მაგრამ კონფესიათა შორის დიალოგის დაწყება პირველი რიგის და სრულიად გადაუდებელი საქმეა. ძალიან საეჭვოა ასეთი რამ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო ხელმძღვანელობამ მოინდომოს; ამ ეკლესიის ნორმატიული თავისებურებები მათ აქეთკენ არ უბიძგებს, მაგრამ არსებობს ერთი იმედისმომცემი ფაქტორი: ეს არის წმინდა პოლიტიკური, სახელმწიფო ინტერესი. ქართული ნაციონალური სახელმწიფოს მშენებლობის წარმატება-წარუმატებლობა ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხია. კონფესიათშორის უთანხმოების პირობებში ნაციონალური სახელმწიფოს მშენებლობა კი ბავალარში ნაღმების ჩადების ტოლფასია. ამის თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ჩვენი საეკლესიო იერარქებიც და პოლიტიკოსებიც ყველა ღონეს იხმარენ ქვეყნის შიგნით კონფესიათა დაახლოვებისათვის. კავკასიის სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს თავიანთი ქვეყნების შიგნით ასეთი პრობლემა (და შესაბამისად ასეთი დამატებითი სტიმული კონფესიათშორის თანხმობის მისაღწევად) არა აქვთ.

მეორეს მხრივ, მრავალკონფესიური სახელმწიფოს მშენებლობაში წარმატების მიღწევის შემთხვევა საუკეთესო პრეცედენტი იქნება კავკასიის პოლიტიკურ სუბიექტებს შორის შესაძლო კონფლიქტების რელიგიური კერების გასანელებლად. რელიგიათშორისი თანხმობის ქართული გამოცდილება, თუ ის წარმატებული იქნა, შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს მეზობლებს შორის ურთიერთობებისთვის. ეს მოსაზრება კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, თუ საკითხს შევატრიალებთ: წარმოვიდგინოთ საქართველოში რელიგიური კონფლიქტი. ყველა რელიგიური უმცირესობა საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში ცხოვრობს. ამავე დროს მათ უშუალო მეზობლობაში მყოფ სახელმწიფოებში ცხოვრობენ მათივე მსგავსი აღმსარებლობის და ეთნიკური კუთვნილების ხალხები: ჯავახეთს მიღმა სომხეთია, ქვემო ქართლს მიღმა აზერბაიჯანი, აჭარას თურქეთი ესაზღვრება... საქართველოს ამ რეგიონების რელიგიურ კონფლიქტში ჩაბმა კონფესიათშორის კონფლიქტს ნაციონალურ-ირედენტულ კონფლიქტებშიც გადაზრდის და მასში მეზობელ სახელმწიფოებსაც ჩაითრევს. თავის მხრივ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი შეიძლება იოლად გადაიზარდოს საერთო კავკასიურ ომად. აქედან ცხადია, რა ამოცანის წინაშეც დგას საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ხელმძღვანელობა.

საუბედუროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ ისე ღრმად შეტოპა წვრილმანი პოლიტიკური ინტრიგების ჭაობში, რომ სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებისადმი პასუხისმგებლობა საერთოდ მიივიწყა. უფრო უარესიც: ეს უუნარო სახელმწიფო მაინც ახერხებს გაატაროს ისეთი, უკაცრავად პასუხია და, „რელიგიური პოლიტიკა“, რომლის შემხედვარე ჩნდება ეჭვი, რომ უმაღლეს ეშელონებში პოლიტიკურად საშიშ მეზობელთან, რუსეთთან დანაშაულებრივ თანამშრომლობას აქვს ადგილი: სახელმწიფო ხელოვნურად აპროვოცირებს რელიგიური ძალადობის პროცესს, რაც მომაკვდინებელი საფრთხის შემცველია ჩვენთვის და მხოლოდ რუსეთის კავკასიური სტრატეგიის ინტერესებშია.

ცივილიზაციების შეხლის თუ კონფლიქტების თავიდან აცილების ტვირთიუპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს კისერზეა. ვითარება ისე გართულდა, რომ ექსპერტები სახელმწიფოებრიობის ახლებურ განსაზღვრებაზე ალაპარაკდნენ. დღეს უკვე სტანდარტად ითვლება, რომ სუსტი და განუვითარებელი სახელმწიფო – რომელთა რიგებში საქართველოც იგულისხმება – ტერორისტების და რელიგიური ექსტრემისტების მძევლად გადაქცევისათვის არის განწირული. ავღანეთის მაგალითზე ყველამ დავინახეთ როგორ იქცა სახელმწიფო რელიგიური ექსტრემისტების იარაღად. იგივე შეიძლება დაემართოს ჩვენს არშემდგარ სახელმწიფოს, თანაც არა მხოლოდ რელიგიური ექსტრემისტების, არამედ ზოგადად **ორგანიზებული დანაშაულის** ხელში. კორუფციის ჭაობში მოფართხალე საქართველო ასეთი დამძევლების მკაფიო მაგალითი ხდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანტიტერორისტული კოალიციის ფორმალური წევრობის მიღმა საქართველოში კოალიციის მოწინააღმდეგეც აფარებს თავს, რაც უკიდურესად გაამწვავებს ვითარებას ჩვენს ისედაც აწეწილ-დაწეწილ ქვეყანაში. საბჭოთა ნომენკლატურის პარპაში, კორუპცია და და პლუტოკრატია ის ფენომენებია, რომელთა არსებობის გამო მსოფლიო თანამეგობრობა საქართველოს უკვე ათვალწუნებით უყურებს. საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ძირეული ცვლილებები კი ჩვენი ქვეყნისთვის უადრესად სახიფათო პოტენციალს შეიცავს.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არც რელიგიური ხელმძღვანელობა ჩამორჩება. მართლმადიდებელი იერარქების უმრავლესობას ურმის და ცხენის ეპოქის სოციალური წესრიგის და სტანდარტების აღორძინება სურს. ასეთი მიდგომებით კარს მომდგარ კონფლიქტებს არამცთუ ვერ ავიცილებთ, მხოლოდ გავაჩაღებთ. რაც დრო გადის ქვეყანაში ეთნორელიგიური კონფლიქტის გაჩაღების საფრთხე სინათლის სინქარით იზრდება და ის ტრადიციულ აღმსარებლობათა რეანიმაციის პროცესის პირდაპირპროპორციულია. ის დაწიოკებები, რაც ბასილი მკალავიშვილის დაჯგუფებას და საპატრიარქოსთან არსებულ ორგანიზაცია „ჯვარს“ უკავშირდება მხოლოდ პირველი მერცხლებია.

შექმნილი ვითარება ჩვენს ინტელექტუალურ და პოლიტიკურ ელიტას ქართული საზოგადოების შეგნებაში რელიგიური რეფორმაციის აუცილებლობის დამკვიდრებაზე ზრუნვას ავალდებულებს. *ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავრჩეთ გარეშე მაყურებლის როლში დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე იმ მტკივნეული პროცესის მიმართ, რასაც ისლამის და მართლმადიდებლობის ტრანსფორმაცია ჰქვია.*

ამ საკითხთან დაკავშირებული მოვლენები წინააღმდეგობრივად ვითარდება: ჩნდება დემოკრატიის ელემენტები და იქვე ძლიერდება ფუნდამენტალიზმისა და ავტოკრატიისაკენ ლტოლვა. ბევრი ფიქრობს და სამართლიანადაც, რომ არც ისლამი და არც მართლმადიდებლობა **თავისი არსით** ფანატიკური არ არის. იდეოკრატიული დიქტატურების მაპროვოცირებელია არა იმდენად თვითონ ისლამი ან მართლმადიდებლობა, არამედ ის ადამიანები, ვისაც უპყრია მართვის სადავეები. სინამდვილეში ნებისმიერი რელიგიის მიმდევრებს (მათ შორის მართლმადიდებლობის და ისლამის) შეუძლიათ ნებისმიერი პოლიტიკური მოთხოვნა გაამართლონ თავიანთი წმინდა წერილის ბაზაზე, რაც თანამედროვე პოლიტიკური სტანდარტებისადმი ადაპტირების შესაძლებლობას ბადებს. ეს ცივილიზაციები ბოლო დრომდე ინტელექტუალური სტაგნაციის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. დღეს ვითარება იცვლება. ყოველ შემთხვევაში, ისლამის სამყარო აშკარად მოდერნიზდება. თურქეთი კი სანიშნოდ ითვლება ამ ქვეყნებს შორის. თურქული დემოკრატია, ასახავს რა მკაცრ სახელმწიფო იდეოლოგიას, ნელ-ნელა რთავს მოღვაწეობის ნებას იმ ისლამურ მოძრაობას თუ პარტიებს, რომლებიც დემოკრატიულ სულისკვეთებას ავლენენ. თურქეთში პოლიტიკური ისლამი გაცდა ისლამის ვიწრო, არადემოკრატიულ გაგებას და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე ძალად იქცა. (იხ. Graham Fuller " The Future of Political Islam" Foreign Affairs. March/April 2002).

საერთოდ ისლამის ქვეყნების გამოცდილება საქართველოს პოლიტიკური ევოლუციისთვის შეიძლება ითქვას ქრესტომათიული მნიშვნელობისაა. ეს იმით არის განპირობებული, რომ პოლიტიკური ფილოსოფიის ფორმირების თვალსაზრისით ისლამის და მართლმადიდებლობის მონაპოვრები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება. სამწუხარო კი ის არის, რომ ეს მსგავსება სულაც არ ანელებს მათი მიმდევრების

ურთიერთგაუცხოვებას, არამედ – ამბაფრებს. ეს ის შემთხვევაა, როცა ორი ერთნაირი მუხტის მატარებელი ელემენტი ერთმანეთს განიზიდავს.

პირდაპირ თავზარდამცემია ჩვენი ხელისუფლების და საზოგადოების არხეინობა; საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რადიო წამდაუწუმ გვიმეორებს სიყალბის სულით გაუღენთილ რეფრენს: **"ყველაფერი კარგად იქნება! – რადიო ორი, ყველაზე ქართული რადიო"**.

კი, როგორ არა! – დაამთავრებს ამერიკა ომს ერაყში, მოიცლის და მოგვხედავს...

დავაკვირდეთ ისლამის სამყაროში მიმდინარე ტრანსფორმაციის წინააღმდეგობრივ პროცესს. აქ კარგა ხანია, რაც ლიბერალიზაციის მომხრეები და ისლამისტები ერთმანეთს უპირისპირდებიან. ვოშინგტონი კი ასეთ ვითარებაში ფრთხილობს ხოლმე, ის ერიდება ამ ქვეყნებში დემოკრატიული პროცესების სტიმულირებას; ვოშინგტონი შიშობს, მისმა ჩარევამ ხელისუფლებაში ისლამისტების მოსვლა არ დაახქაროს. *ურთიერთობის ამ სტერეოტიპს თუ ჩვენ ქვეყანასაც მივუსადაგებთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმის აღზევების და ეთნოკონფლიქტების წინააღმდეგ დასავლეთის მხარდაჭერის იმედი ნაკლებად უნდა ვიქონიოთ, ეს პრობლემა მთლიანად ჩვენი მოსაგვარებელია. არ მოვაგვარებთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: ყველაფერი ცუდად იქნება!*

მართლმადიდებლობის და ისლამის შემოფარგვლა შორეული წარსულის სოციალური წესრიგით გამანადგურებელი შედეგებით დამთავრდება. ამ ქვეყნების პოლიტიკურმა მმართველობამ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი მუსულმანურ და მართლმადიდებლურ რეფორმაციის პროცესს, რომელიც მისაღებს გახდის ლიბერალულ ღირებულებებს. ამ მიმართულებით საქართველოში ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება სხვა საქმით არის დაკავებული, ის როგორც ავღნიშნეთ, თავისი რელიგიური პოლიტიკით სულაც ფუნდამენტალიზმის და რელიგიათშორის შუღლის გაღვივებას უწყობს ხელს.

მართლმადიდებლობის დასავლური ცივილიზაციისაგან გაუცხოვების მიუხედავად, დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესი, ჩვენდა საბედნიეროდ, მართლმადიდებლურ ქვეყნებშიც მიმდინარეობს. მართლმადიდებლურ ქვეყნებს დასავლეთთან დაძაბულობის განვლების უფრო მეტი შანსი (ისლამის ქვეყნებთან შედარებით), დასავლეთთან ინტეგრაციის რეალური პერსპექტივა აქვთ. თუ ეს რუსეთის და სერბეთის შემთხვევაში უფრო რთულია, საბერძნეთის და რუმინეთის, ბულგარეთის და საქართველოს შემთხვევაში – თითქოს უფრო იოლი. ფაქტი კი ის არის, რომ რუსეთი უფრო წარმატებულია ამ მხრივ, ვიდრე საქართველო და ეს მისი პოლიტიკური ლიდერის და ხელმძღვანელობის სრული დეზორიენტაციის შედეგია.

როგორი იქნება სამომავლოდ დასავლეთის მიდგომა საქართველოსადმი? უკანასკნელ დრომდე საქართველო ე.წ. გარდამავალი ქვეყნების კატეგორიაში ირიცხებოდა. დღეს ეს პარადიგმა უკვე მოძველებულად ითვლება. ასეთი დაჯგუფება აღარ არსებობს. აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირა ქვეყნები უკვე გადავიდნენ დემოკრატიული განვითარების რელსებზე. მეორე ჯგუფი ქვეყნებისა: რუმინეთი, ბულგარეთი, მექსიკა, ბრაზილია და ფილიპინები ნაკლებწარმატებულ, მაგრამ პერსპექტიულ ქვეყნებად ითვლება. ხოლო ყოფილი მესამე სამყაროს ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ, და მათ შორის, სამწუხაროდ, საქართველომაც, ვერ განავითარეს ქმედუნარიანი დემოკრატიული სტრუქტურები და ე.წ. „ნაცრისფერ ზოლში“, საჭარის ქვემოთ აფრიკის ქვეყნების ტიტულით დამშვენებულ რეესტრში მოხვდნენ. ტანხანია, კენია, მავრიტანია, ბურკინა ფასო, ზამბია, გაბონი და მისო. (იხ. Thomas Karothers "The end fo the Transition Paradigm". Journal of Democracy 13. 1. 2002). ეს უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ველში მდებარე ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, მკვეთრად ამაღლებს უახლოეს მომავალში ცივილიზაციათშორისი წინააღმდეგობების თვალსაზრისით ანტიდასავლურ ბანაკში გადაბარგების პერსპექტივას, რაც ცივილიზაციათშორისო ბრძოლის კონტექსტში ჩვენი ქვეყნისთვის და შესაბამისად მთელი კავკასიისთვისაც უმძიმესი შედეგებით დასრულდება.

ცივილიზაციური კუთვნილების ნიშნით საქართველო ე.წ. გახლენილი ქვეყნების რიგებს განეკუთვნება. თურქეთი, მექსიკა, რუსეთი, საქართველო... ამ ქვეყნების

პოლიტიკური ელიტა იძულებულია ვესტერნიზაციის გზას დაადგეს, მათი ტრადიციები და კულტურა კი ამას ეწინააღმდეგება, ამიტომ საზოგადოება გახლენილია. ამის მიუხედავად თურქეთის და განსაკუთრებით მექსიკის ვესტერნიზაციის პროცესი წარმატებულია, საბერძნეთი და რუსეთი უფრო დაწინაურებული, ვიდრე საქართველო. საქართველოს ჩამორჩენას ისიც განაპირობებს, რომ ქვეყნის მმართველ ფენას სახელმწიფოებრივი ქცევის კულტურა თითქმის არ გააჩნია, ხოლო რელიგიური ზედაფენა ცარისტული რუსეთის ეკლესიური დოქტრინითაა „განათლებული“ და კვლავინდებურად ძველი, აგრგარული ცივილიზაციის დისკურსში ბუქსაობს. საქართველოს გახლენილობა გახლენილობის უფრო რთული ფორმაა, ვიდრე, ვთქვათ, თურქეთის, რომელიც კონფესიურად მაინც ერთსახოვანია. საქართველო კონფესიურადაც ჭრელია. ლიბერალიზმის და ტრადიციონალიზმის დიხოტომიას, რომელიც რეფორმის მომხრე პოლიტიკურ ელიტას და ხალხს შორის ყალიბდება, საქართველოს შემთხვევაში კონფესიათშორისო დაპირისპირებაც ემატება და გახლენილობის კიდევ ერთ, დამატებით განზომილებას ქმნის. ეს კიდევ უფრო მწვავედ აყენებს საქართველოს, სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესიის რეფორმირების აუცილებლობის საკითხს.

დისკუსიები კავკასიურ ინსტიტუტში №2
ეკლესია, სახელმწიფო და რელიგიური უმცირესობები საქართველოში:
გვემუქრება თუ არა რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფრთხე?